მეჩაიეთა ნობათი სკკპ XXVI ყრილობას

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა 19 ოქტომბერი
№ 241 (17884)
ფასი 2 კაპ.

ჯ. ლომაძისა და ვ. ბენგზურის ფოტოპლაკატი.

გაბედული აზრის, თავდადებული შრომის ბრწყინვალე შედეგი!

მეჩაიე და გამარჯვება. ეს ორი სიტყვა სინონიმად იქცა. და დღეს მთელ საქართველოში ქუხს საჭირნახულო ლაშქრობის პლანტაციების გმირ ოსტატთა პატაკი: — მიიღე, სამშობლოვ, 500 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი!

ამდენ ნედლეულს რესპუბლიკა სულ ახლო წარსულში მთელ ხუთწლედში ძლივს ამზადებდა.

ერთი თვის წინათ კი ეს განსაცვიფრებელი ციფრი ბევრს ფანტასტიკურად ეჩვენებოდა, ზოგიც სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ მეჩაიეთა, აგრონომთა, მეცნიერთა და მათ თანმდგომთა შეთანხმებულმა, მამაცურმა გარჯამ იგი რეალურად აქცია, საარაკო მოსავალად, ოქროს სტრიქონად ჩაწერა სამამულო მეჩაიეობის ისტორიაში. მბზნებარე ოპტიმისტთა, საქმის ჭეშმარიტ ორგანიზატორთა მოლოდინს ფრთა შეასხა, არის 500 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი!

ეს უდიდესი მოსავალი გამარჯვების შარავანდედით ამკობს უშელავთო ბრძოლას ნაჩვევ მეჩაიეებს და ეს მით უფრო საამაყოა, რომ ჭირნახული უაღრესად რთული ამინდის პირობებშია მოყვანილი; იგი სოფლის მშრომელმა გამოატარა გაზაფხულის სუსხში, ავდარში, ქარსა და გვალვაში, მაგრამ მაინც შეინარჩუნა; ტრანსპორტელებთან და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებთან ერთად ძალ-ღონე არ დაიშურა იმისათვის, რომ ყოველი კილოგრამი ჩაის ნედლეული დანიშნულების ადგილამდე მისულიყო და საიმედოდ დაბინავებულიყო.

ყოველივე ამას სოფლის მუშაკაცი ძნელი შრომით, მაგრამ ამაღლებული გაწყობილებით აკეთებდა, რადგან სწამდა, რომ ამით უდიდესი ვალი შეჰკონდა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში, შრომას ასხამდა დიად აღმასვლის გზაზე შემდგარი საქართველოს ბევრ ოცნებასა და იმედს.

თქმა არ უნდა, ხალისიანი განწყობილება და ენთუზიაზმი, რომელიც ბოლო წლებში რესპუბლიკის მშრომელებს დაეუფლა და განსაკუთრებით იგრძნობა პარტიის XXVI ყრილობის წინ, მეათე ხუთწლედის ფინიშთან, გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, მაგრამ მეჩაიეები რეკორდული მოჭნის მისაღწევად მხოლოდ მონდომებისა და გმირული შემართების ამარა როდი იყვნენ. საგანგებო ყურადღება ექცეოდა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, მელიორაციისა და ქიმიზაციის საშუალებათა ეფექტიან გამოყენებას.

მეჩაიეები არნახული მოსავლის მოყვანა-დაბინავებისათვის კარგად იყვნენ აღჭურვილი ტექნიკით და სხვა საჭირო მატერიალური საშუალებებით. პლანტაციებში შეუფერხებლად მუშაობდა 900-მდე მობილური ჩაის საკრეფი მანქანა და 5.000-მდე ხელის საკრეფი აპარატი. მათ მხარში ედგნენ ისინი, ვინც აწვდიდა სათადარიგო ნაწილებს, საწვავს, არემონტებდა მანქანებს და ფაბრიკებში მიჰქონდა ნედლეული. თავის მხრივ გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ფაბრიკებმა კი მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს გადამუშავების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, ნედლეულის შეუფერხებელი მიღებისათვის.

ეფექტიანად იყენებდნენ მექანიზაციას მეჩაიეები. მახარაძის რაიონის ნასაკირალის და ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში ნედლეული მხოლოდ მექანიზებული წესით მოიკრიფა. ამის წყალობით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 9 პროცენტით, ხოლო რენტაბელობა — 15 პროცენტით. მახარაძელი და ზუგდიდელი მეჩაიეები, რომლებიც რესპუბლიკაში დამზადებული მთელი ნედლეულის მესამედს აწარმოებენ, წლითიწლობით ზრდიან ჩაის ფოთლის მოსავლიანობას. წლეულს მახარაძის რაიონმა 9 ათასი ტონით გადაამეტა ვალდებულებას, ხოლო ზუგდიდისამ — 8 ათასი ტონით.

გადიდებული ვალდებულების წარმატებით შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აჭარის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, წულუკიძის, ტყიბულის და სხვა რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა.

მეჩაიეთა სასახელო გამარჯვების / მისაღწევად დიდი მიზანდასახული მუშაობა გასწიეს პარტიულმა ორგანიზაციებმა. მათ მეურნეობათა კოლექტივები დარაზმეს ნაკიხარ სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო რეალიზაციისათვის, პლანტაციების მოვლის სამუშაოთა უზადო შესრულებისათვის, მოსავლის უდანაკარგოდ და მაღალხარისხოვნად აღებისათვის.

წლეულს მეჩაიეთა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საგანგებოდ შერჩეულ ნიადაგებზე ვეგეტაციურად გამრავლებული მაღალხარისხოვანი და უხვმოსავლიანი ნერგებით ჩაის პლანტაციების გაშენებას; ჩაის ბუჩქის გახსვლის მორიგობის ხუთწლიანი ციკლის დანერგვას; მინერალური სასუქების გონივრულ გამოყენებას; ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას. ბევრ რაიონში გავრცელდა ნატანებელთა თაოსნობა „ჩაის ყველა პლანტაციას — ხარისხის ნიშანი“. მახარაძის რაიონში ასობით პლანტაციას ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

სწორედ ამის შედეგია, რომ რაიონში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის პროდუქციის წილი 8 პროცენტით გაიზარდა. საგულისხმოა ისიც, რომ მხოლოდ ერთი პროცენტით ჩაის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესება მახარაძელებს 200 ათას მანეთზე მეტ მოგებას აძლევს.

რესპუბლიკის მეჩაიეთა რეკორდული მოსავალი უზარმაზარი შრომის ფასად დაჯდა, ნახევარმილიონანი მიჯნის მისაღწევად ბევრი სიძნელეს დაძლევა და დაბრკოლების გადალახვა გახდა საჭირო, მაგრამ პლანტაციების ოსტატებს მიღწევებზე შეჩერება როდი სჩვეოდათ. მით უმეტეს, რომ მათ დიდ ამოცანებს უსახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება ჩვენს რესპუბლიკაში სამრეთეული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების თაობაზე. ამ დადგენილებით გათვალისწინებულია მეთერმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის 700 ათას ტონამდე გაიზარდოს ჩაის ფოთლის წარმოება; ახალი ჩაის პლანტაციები გაშენდება ათასობით ჰექტარზე. კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებაში ინდუსტრიული ტექნოლოგიის დანერგვას. კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ პრობლემად რჩება როგორც დამზადებული ნედლეულის, ისე მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ეს პასუხსაგები ამოცანები ღრმად აქვთ შეგნებული სიტყვის ერთგულ მეჩაიეებს. ამასთან ისინი ნათლად ხედავენ თავიანთ ნაკლოვანებებსაც და დაუცხრომლად იღვწიან მათ აღმოსაფხვრელად. მტკიცე საფუძველს უყრიან საგაისო მოსავალს, რათა კვლავ ახალი მწვერვალები დაიპყრონ.

მარჯვენა დაგელოცოთ, ახალი საქართველოს შრომითი დიდების მჭედელო, მეჩაიეებო!

არის რეკორდული მოსავალი!

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს და ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში გამოთქმული მითითებებითა და რეკომენდაციებით, წარმატებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმები და სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული ვალდებულებანი. პირველად დარგის განვითარების ისტორიაში საქართველოს მეჩაიეებმა დაძლიეს ნახევარმილიონიანი მიჯნა და სახელმწიფოს მიჰყიდეს 500 ათას ტონაზე მეტი ნედლეული. წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა 114 პროცენტით შესრულდა. პირველ ხარისხად დამზადდა 350 ათასი ტონა, მანქანებითა და მექანიზმებით მოიკრიფა 72 ათას ტონამდე ფოთოლი. მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, წულუკიძის, ჩოხატაურის, ხობისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების, ქალაქების ტყიბულისა და წყალტუბოს ზონების მეჩაიეებმა. ჩაის ფოთლის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება.

ვაშა თქვენ



ვაშა, ამ დიდ გამარჯვებულ!
ვაშა, შრომას!

ბ. ქარმალი მოსკოვში

ძმური გულთბილობითა და გულითადობით მიესალმნენ 17 ოქტომბერს მოსკოვის მშრომელთა, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა წარმომადგენლები ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ქარმალს.

საბჭოთა კავშირ-აშღანეთის მეგობრობის მიტინგზე, რომელიც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

მიტინგზე გამოსულმა ბ. ქარმალმა ხაზი გაუსვა, რომ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეობის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწესთან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან შეხვედრამ და საუბარმა. ლ. ი. ბრეჟნევის რჩევა-დარიგება ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევს ჩვენი პარტიის ერთიანობის განმტკიცებაში, ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აყვავებული და პროგრესული საზოგადოების მშენებლობაში, არსებულ სიძნელეთა წარმატებით დაძლევის საქმეში, თქვა ორატორმა.

ბ. ქარმალმა დიდი მადლობა გადაიხადა ყოველმხრივი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ავღანეთს.

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ. ქარმალი 18 ოქტომბერს ეწვია ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს და გვირგვინით შეამკო იგი. წუთიერი დუმილით მან პატივი სცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ხსოვნას.

სტუმარმა გვირგვინით შეამკო ადრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

ბ. ქარმალთან ერთად იყვნენ სსკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ. მ. კორნიენკო, სხვა ოფიციალური პირნი.

იმავე დღეს ბ. ქარმალი გულთბილად მიიღეს ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრის მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, მუშა-მოსამსახურეებმა.

სტუმარმა ყვავილებით შეამკო კოსმოსის პირველმკვლევის ბორის გაგარინის ძეგლი.

ბ. ქარმალმა და მისმა თანამხლებმა ავღანეთის ოფიციალურმა პირებმა დაათვალიერეს ტრენაჟერები — „სოიუზ“ ხომალდისა და „სალუტ“ ორბიტული სადგურის მაკეტები, იყვნენ კოსმონავტიკის მუზეუმში, ცენტრის ლაბორატორიებსა და კაბინეტებში.

ბ. ქარმალთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ი. სტრაუტმანისი, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე; ავიაციის მთავარი მარშალი ბ. ს. კუტახოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (სკკდესი).

ბ. ქარმალი ბაბრაკ ქარმალი

საბჭოთა კავშირში ვიზიტის გამო

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ხვალ თბილისში ოფიციალურ-მეგობრულ ვიზიტად ჩამოდის ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბაბრაკ ქარმალი.

ბ. ქარმალი დაიბადა 1929 წელს ქაბულის პროვინციაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი შეივიდა ქაბულის უნივერსიტეტში, რომელიც 1961 წელს დაამთავრა, ბ. ქარმალი ქაბულიდან წლებიდანვე ჩაება აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში. 50-იან წლებში სათავეში ჩაუდგა ავღანეთის მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის მოძრაობას დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის. რევოლუციური ლოზუნგებით სტუდენტთა დემონსტრაციების მოწყობისა და შემდეგ პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ბ. ქარმალი არაერთგზის დაუპატიმრებიათ. იგი რამდენიმე წელს იყო საპატიმროში.

ბ. ქარმალი ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელია. 1965-1973 წლებში იგი სათავეში ედგა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ფრაქციას ავღანეთის პარლამენტის ქვედა პალატაში. 1978 წლის აპრილში ავღანეთის ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბ. ქარმალი აირჩიეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ. ბ. ქარმალი გამოდიოდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიებების ინიციატორად, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ძირეული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პროგრამის შედგენაში, რომლის მიზანი იყო შეექმნათ ახალი საზოგადოება, სადაც არ იქნებოდა ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია და რომელიც თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული.



მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ბ. ქარმალს დევნა დაუწყო ამინის დაჯგუფებამ, რომელმაც უზურპაციულად ჩაიგდო ხელთ ძალაუფლება პარტიასა და ქვეყანაში. ბ. ქარმალმა დიდი მუშაობა გასწია, რათა ემხელებინა ამ დაჯგუფების მოღალატური საქმიანობა, შეეკავშირებინა პარტიის ძალები რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. 1979 წლის დეკემბრის დამლევს ბ. ქარმალი სათავეში ჩაუდგა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის იმ ძალების გამოსვლას, რომლებმაც დასაბამი მისცეს აპრილის რევოლუციის განვითარების ახალ ეტაპს. იგი აირჩიეს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარედ და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

ბ. ქარმალის ხელმძღვანელობით ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭო და რესპუბლიკის მთავრობა მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერით ახორციელებენ გადაუდებელ ღონისძიებებს, რათა ქვეყანაში მოსპონ იქონომიკური ჩამორჩენილობის ფეოდალური საფუძვლები, უმუშევრობა და უწიგნურობა, გაუმჯობესონ მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა. ავღანელი ხალხი მტკიცედ იბრძვის გარეშე აგრესიის წინააღმდეგ, ებრძვის შინაური კონტრრევოლუციური ნაშთებს და იცავს აპრილის რევოლუციის მონაპოვრებს, ეროვნულ დამოუკიდებლობას, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

თავის საგარეო პოლიტიკაში ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეუმხრობლობის პრინციპებს, იგი თანამიმდევრულად ატარებს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებისა და ყოველმხრივი განვითარების ბაზს.

საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან ამხანაგ ბაბრაკ ქარმალს, და მისი სახით — მეგობარ ავღანელ ხალხს. ისინი გამოთქვამენ რწმენას, რომ ბ. ქარმალის ვიზიტი მნიშვნელოვან წვლილს შესძენს ორი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცება-გაღრმავების საქმეს.

ეს, ვინ რა წვლილი შეიტანა

მოკრეფილია ჩაის ფოთოლი 19 ოქტომბრისათვის (ტონობით)

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	მოკრეფილია
აფხაზეთის ასსრ	89.200	89.785
გალი	45.000	45.300
ოჩამჩირე	34.100	35.250
სოხუმი	650	735
გულრიფში	2.600	2.700
გუდაუთა	6.850	5.750
აბაშის ასსრ	63.800	65.305
ქობულეთი	42.400	44.200
ხელვაჩაური	20.300	20.200
ქედა	1.100	915
მახარაძე	88.100	92.250
ზუგდიდი	61.920	70.100
წალენჯიხა	29.500	31.100
გეგეჭკორი	23.300	24.480
ლანჩხუთი	23.800	25.000
ჩხოროწყუ	22.410	24.030
ჩოხატაური	12.770	13.020
წყალტუბო	12.620	13.420
ცხაკაია	11.250	12.430
წულუკიძე	9.100	9.720
ტყიბული	10.550	11.846
ხობი	9.500	10.450
საგარეჯო	3.000	3.182
აბაშა	1.150	1.150
თერჯოლა	1.220	1.215
ჭიათურა	960	963
ვანი	850	900
ზესტაფონი	20	35

ძმათა ერთია სახელი

ძვირფასო და სახელოვანო მეჩაიეებო! გილოცავთ დიდი მიზნის განხორციელებას — 500 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფას.

თქვენ უამინდობას არ შეეპუეთ, არც ქალათი გადაგიგდიათ, არც ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ შეგიჩერებიათ, არც მუხლი ჩაგიხრიათ.

კაცნ მეგვიანეენებს ჩვენი დიდი საზრუნავი გვქონდა, მაგრამ ცალი თვალით და მთელი გულით თქვენკენ ვიხედებოდით, თქვენი დაძაბული შრომის დღეებს განვიცდით. გვჯეროდა თქვენი გამარჯვებისა, ისიც გვწამდა, რომ თქვენც ჩვენებრ ღელავდით, განიცდიდით და იმედი გქონდათ, რომ თავს არ შეივრცხვენდით.

თქვენ ხომ გაგვიმართლეთ და არც ჩვენ დაგწყვიტეთ გული, 545 ათას ტონაზე მეტი საოკეანეს ყურძენი მივიტანეთ ჩვენს საერთო მარანში.

დაე, მუდამ ასე ერთად და გამარჯვებით გვიგალოს!

მ. მექვეტვრიშვილი,
გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის მევენახე ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

მ. ღვედაშვილი,
ხილნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის მევენახე ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.



ჩაის ფოთლის დამზადება (ათას ტონობით).

გულითადი შეხვედრები

უკრაინაში, სადაც დავით გურამიშვილმა გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები და შექმნა უკვდავი „დავითიანი“, დამთავრდა დიდი პოეტისა და მოაზროვნის დაბადების 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმობა.

ამ ზეიმობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ დელეგაცია. დელეგაციის წევრები შეხვდნენ მომძე უკრაინის მშრომელებს, კულტურისა და მეცნიერების მუშაკებს. ეს შეხვედრები ყველგან იქცა უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ნამდვილ დღესასწაულად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ მიიღო საქართველოს სსრ დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე. გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. (*საინფორმაციო სააგ. კორ.*).

დღესასწაულს მიეძღვნა

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქვების მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღეს. მასში მონაწილეობდნენ დარგის საწარმოთა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი.

სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის მინისტრმა რ. კონცელიძემ.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და ქვების მრეწველობის განყოფილების გამგე ო. ივანაშვილი. (*საინფორმ.*).

მიფრინავს „კოსმოს-1216“

1980 წლის 16 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1216“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. (*სკკდესი*).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 16 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ რომში გარდაიცვალა იტალიისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, მტკიცე რევოლუციონერი-ინტერნაციონალისტი, საბჭოთა კავშირისა და ჩვენი პარტიის დიდი მეგობარი, იტალიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ლუიჯი ლონგო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

დაგელოცოთ მარჯვენა!

მეჩაიეთა ნობათი სკკპ XXVI ყრილობას

ასე იშრომეს, ასე გაიმარჯვეს!..

კოლხეთის

მიწის მშვენება

ᲮᲔᲚᲘ გაზაფხულზე უჩვეულოდ ცოდა, სუსხიანი წვიმა ისე ცრიდა, ძვალ-რბილში ატანდა. ამიტომ იყო, რომ ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია დაგვიანებით დიწყო. მერე ერთხანს დათბა, კვირტიც დასკდა, მაგრამ ისევ აცივდა და ჩაის ფოთლის განვითარება კვლავ შეჩერდა. ასეთი ამინდები მეჩაიეებს კარგს არაფერს უქადდა, საგანგებო ღონისძიებები იყო საჭირო.

რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მეჩაიეები და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები სპეციალურად გააფრთხილეს, რომ გულმოდგინედ ეზრუნათ პლანტაციებზე, მომზადებულიყვნენ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის ორგანიზებული დაწყებისათვის, რადგან სუსხის შემდეგ შესაძლებელი იყო უცბად დამთბარიყო. ვარაუდი გამართლდა — აპრილის მეორე ნახევარში საგრძნობლად დათბა და ჩაის ბუჩქებზე საკრეფი დუყები უხვად იყო. ამან საჭიროზე მეტი მკრეფავები მოითხოვა, რადგან დუყები თუ დროზე არ მოიკრიფებოდა, ფოთოლი გაუხეშდებოდა, ხარისხს დაკარგავდა.

... აი ასეთ გარემოებაში დაიწყო შავიზღვისპირეთში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა. ნედლეულის დამზადების ტემპი რომ დაჩქარებულიყო, ცხაკაიელმა და მახარაძელმა მეჩაიეებმა რესპუბლიკის მეჩაიეებს მიმართეს და მოუწოდეს, რომ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა დაეძლიათ ივნისის შუა რიცხვებისათვის. ამ მოწოდებას საქართველოს ყველა მეჩაიე გამოეხმაურა, ყველა ფეხზე დადგა, დიდი და პატარა პლანტაციები გავიდა, ყველას ერთი მიზანი ამოძრავებდა — სიუხვისა და ხარისხისათვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოსულიყო.

მაგრამ ხომ კარგად არის ნათქვამი — ვინც ითავა, მან ყველაზე კარგად იცის გამარჯვების გზებიო. ჩამორჩენის დასაძლევად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვით თაოსნებმა — ცხაკაიას რაიონის უშფათის და მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა იმარჯვეს, დათქმულ ვადაზე ადრე დაძლიეს ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში.

თუ ერთმა შეძლო, ყველა შეძლებსო. ასე მოხდა ამჯერადაც. ამის შემდეგ არ დარჩენილა რაიონი, რომელსაც სიტყვა საქმედ არ ექცეოს. ივნისის პირველ ნახევარში რესპუბლიკის ზემდგომ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში, რედაქციებში ზედიზედ მოდიოდა გამარჯვების პატაკები. საზოგადოებრივი მეურნეობები, რაიონები იუწყებოდნენ, რომ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მეტი და მაღალხარისხოვანი ნედლეული იყო დამზადებული.

ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები ამ დღიდან მუხლჩაუხრელად, გმირულად შრომობდნენ, რათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისთვის ახალ-ახალი შრომითი პატაკები მიეძღვნათ. მათ სიტყვა საქმედ აქციეს, დიდი გადამეტებით შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების ხუთწლიანი დავალება. ამიტომ იყო, რომ თბილისში გამარჯვების დროშა აღიმართა.

... და როცა ვალდებულების შესრულების აღარაფერი აკლდა, მაგრამ პლანტაციებში ჩაის ფოთოლი უხვად იყო საკრეფი, როცა კახეთის ზვრებიდან სასიხარულო ცნობები მოდიოდა, ჩვენმა მეჩაიეებმა გადაწყვეტეს არ დასჯერებოდნენ წინანდელ ვალდებულებას, რომელიც 470 ათას ტონას ითვალისწინებდა, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ნახევარმილიონნაირ მიჯნისათვის მიეღწიათ.

ახალი თაოსნები კვლავ მახარაძელი და მერე ზუგდიდელი მეჩაიეები იყვნენ.

ისევ პლანტაციებში! ისევ ენერგიული შრომა გააჩაღეს მეჩაიეებმა, ისევ გააქტიურდა სოციალისტური შეჯიბრება და მალე წინათ ნაკისრი ვალდებულება გადამეტებით შესრულდა, ჩვენმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარეს 470 ათას ტონაზე მეტი ნედლეული. ეს იყო მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა დიდი გამარჯვება, ეს იყო კოლექტიური შრომის გამარჯვება.

მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია! მეჩაიეებმა ხომ პარტიას სიტყვა მისცეს, რომ მიაღწევდნენ ნახევარმილიონნაირ მიჯნას და ამისათვის ახალი ძალით დაიწყო შეტევა ჩაის პლანტაციებზე. სწორედ ამ დროს მეჩაიეობის რაიონებში კოკისპირული წვიმები დაიწყო, ჩაის პლანტაციებში შესვლა გაჭირდა, მაგრამ ნათქვამ სიტყვას ხომ არ ეღალატებოდა! ეს ყველა მეჩაიემ კარგად იცოდა. ამიტომ გადაწყვეტეს ავდარშიც არ შეჩერებულიყვნენ. წვიმაში ფოთლის კრეფა იოლი რომ არ არის, ეს ყველამ იცის, მეჩაიეებმა ისიც კარგად იციან, რომ შემოსული ფოთოლი არ უნდა გაუხეშდეს და ვალდებულებაც უთუოდ უნდა შესრულდეს.

მეჩაიეებმა საწვიმრები მოიმარჯვეს და ენერგიულად შეუდგნენ ჩაის ფოთლის კრეფას. დარსა თუ ავდარში კრეფდნენ ჩაის ფოთოლს, გამოცდილ მეჩაიეებს მხარს უწყრებდნენ ახალგაზრდები. ასე, ერთიანი ძალით მიაღწიეს ნახევარმილიონიან მიჯნას. ამით საქართველოს მეჩაიეობის ისტორიაში ოთხმოცდაანი წლების დასაწყისის ძველი გვარდიისა და ახალი თაობის მეჩაიეებმა ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს.

თაოსნები

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲘ მეჩაიეებს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის უხვი მოსავლის მიღების დიდებული ტრადიციები აქვთ. ისინი ყოველწლიურად ზრდიან მოსავალს, აუმჯობესებენ ნედლეულის ხარისხს. რესპუბლიკის ჩაის თითქმის მეოთხედს მახარაძელები აწარმოებენ. რა გასაკვირია, რომ პირველად აქ ჩაისახა და ფეხი აიდგა კომშლექსურმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამამულო ჩაის რეკორდული მოსავლის მიღებას. აქაურმა მკლავმოუღლელმა მშრომელებმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა უპატაკეს სამშობლოს მეათე ხუთწლედის ვადაზე ადრე შესრულება — 263.500 ტონის ნაცვლად 310.000 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული ჩააბარეს სახელმწიფოს.

მახარაძელი მეჩაიეების მამაცურ შრომას ამშვენებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი თაოსნობანი, რომლებიც ფართო მხარდაჭერით აღინიშნა. მახარაძელებმა ზუგდიდელ თანამოსაქმეებთან ერთად რესპუბლიკის მეჩაიეებს მოუწოდეს, რომ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ქვეყანას მისცენ რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული, პირველად ნაკისრი 83.000 ტონის ნაცვლად ვალდებულება იკისრეს 90-92 ათასი ტონა ფოთოლი მოკრიფონ. მახარაძელებმა ეს ვალდებულებაც გადამეტებით შეასრულეს — 92 ათას ტონაზე მეტი ნედლეული გადაამუშავეს.

განა არ უნდა ვაქოთ ქ. მახარაძის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები (თავმჯდომარე ბ. შეგარდნაძე) მკრეფავებმა, რომლებმაც ვალდებულებით ნაკისრი 2.800 ტონის ნაცვლად 3.060 ტონა ნედლეული მოკრიფეს. სანაქებო შრომით სახელი გაითქვა წარჩინებულმა მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნანული მელავამ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ხუთწლედის დავალება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სოფელ აკეთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — ბ. ღლონტი) მშრომელები. აკეთელებმა ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 3.180 ტონისა 3.400 ტონაზე მეტი ნედლეული მოკრიფეს. აკეთელ მეჩაიეებს არც ჩიბათის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — თ. ჩახვაძე) მკრეფავები ჩამორჩებიან, რომლებმაც ვალდებულებით ნაკისრი 1.200 ტონის ნაცვლად 1.480 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი ჩააბარეს წარმოებას. ჩიბათელებს ბევრი საუკეთესო მეჩაიე ჰყავთ, მათ შორის აღსანიშნავია ლ. ჭეიშვილის, ც. თევზაძის, ვ. ლომაძისა და სხვათა მაღალნაყოფიერი შრომა, რომლებმაც რეკორდული მოსავალი მოიწიეს.

ჩოხატაურელ მეჩაიეებს ამ სეზონში დიდი სიძნელეები შეხვდათ. რაიონის ჩაის ძირითად პლანტაციებს ზემოდან დაჰყურებს ბახმაროს უზარმაზარი თოვლიანი ლანჩხუთი. აქაურმა მეჩაიეებმა სეზონის დაწყების პირველი დღეებიდანვე გააჩაღეს შემოქმედებითი შრომა, შედეგიც კარგი აქვთ. ვალდებულებით ნაკისრი 23.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 25.000 ტონა ნედლეული. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აქაურმა შრომისმოყვარე მკრეფავებმა ჩაის ფოთლის დამზადების ხუთწლიანი გეგმა ჯერ კიდევ 12 ივნისს დიდი გადამეტებით შეასრულეს და ათიათასობით ტონა ფოთოლი მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში ჩააბარეს.

მამაცური შრომით თავი გამოიჩინეს სოფელ მამათის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ბ. შეგარდნაძე) მკრეფავებმა, რომლებმაც ვალდებულებით ნაკისრი 2.800 ტონის ნაცვლად 3.060 ტონა ნედლეული მოკრიფეს. სანაქებო შრომით სახელი გაითქვა წარჩინებულმა მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნანული მელავამ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ხუთწლედის დავალება.

ოქტომბერშიც ჩაის ფოთოლი საკრეფად პლანტაციებში კვლავ უხვად იყო. ყოველდღიურად 400 ტონაზე მეტი ნედლეული ბარდებოდა გადასამუშავებლად მრეწველობას. რაიონში სულ მოკრეფილია 70 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს იმ დროს, როცა დასავლეთ საქართველოში კოკისპირული წვიმები იყო, მაგრამ სახელოვანი მეჩაიეები და მექანიზატორები უამინდობას როდი ეპუებიან და ფოთოლს ყოველგვარ ამინდში

ჩაი ჩვენი, ქართული

მავალი დროშებით, ფულადი პრემიებით, ვიმპელებით, ორდენებითა და მედლებით.

შარშან სახელოვანმა მეჩაიეებმა და მექანიზატორებმა მეათე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულება პირნათლად შეასრულეს. 209.140 ტონის ნაცვლად ოთხ წელში აწარმოეს 213.246 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

ასე იყო წელსაც. პლანტაციებს კარგად მოუარეს, ნიადაგი გადაბარეს, გათოხნეს, გაფხვიერეს, მინერალური და ორგანული სასუქები დროულად შეიტანეს. ამის შემდეგ მათ კარგად იცოდნენ, რომ პლანტაციები უხვ მოსავალს მისცემდნენ, ამიტომ შარშანდელ ნაკრეფზე 2 ათასი ტონით მეტი ჩაის ნედლეულის დამზადება იკისრეს, სულ გეგმა-ვალდებულებით 61.920 ტონა. უფრო გვიან კი მახარაძელ თანამოსაქმეებთან ერთად გამოიჩინეს ახალი პატრიოტული თაოსნობა და რესპუბლიკის ყველა მეჩაიეს მოუწოდეს, რომ ნახევარმილიონნაირ მიჯნისათვის წელს მიეღწიათ. ახალი ვალდებულებით ინიციატორებმა 70 ათასი ტონა ნედლეულის დამზადება იკისრეს. ეს კი წინანდელ ვალდებულებაზე 8 ათასი ტონით მეტია.

ამ პატრიოტული ინიციატივის განსახორციელებლად დაირაზმნენ კომუნისტები, კომკავშირელები, უპარტიო ახალგაზრდები, სასოფლო და რაიონული საბჭოების დეპუტატები, მოსწავლეები, რომლებიც თავდადებული შრომის მისაბაძ მაგალითს გვიჩვენებდნენ.

ოქტომბერშიც ჩაის ფოთოლი საკრეფად პლანტაციებში კვლავ უხვად იყო. ყოველდღიურად 400 ტონაზე მეტი ნედლეული ბარდებოდა გადასამუშავებლად მრეწველობას. რაიონში სულ მოკრეფილია 70 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს იმ დროს, როცა დასავლეთ საქართველოში კოკისპირული წვიმები იყო, მაგრამ სახელოვანი მეჩაიეები და მექანიზატორები უამინდობას როდი ეპუებიან და ფოთოლს ყოველგვარ ამინდში



მექანიზატორის ილიკო თოდრიას და სხვათა მოუღლელი მუშაობა, რომლებმაც 1981 წლის გეგმები უკვე შეასრულეს.

წლეულს შარშანდელთან შედარებით 700 ტონით გაზარდეს ჩაის წარმოება ნარაზენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — მ. ლომაია) მეჩაიეებმა. 4.400-ტონიან მიჯნას მიაღწიეს რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ (თავმჯდომარე — ხ. თოდუა) მშრომელებმა. იმატა ჩაის ფოთლის წარმოებამ ინგირის სტალინის სახელობის, კახათის, ახალკახათის, ახალსოფლის ლენინის სახელობის, ორჯონიკიძის კოლმეურნეობებში.

აღსანიშნავია სახელოვან მეჩაიეთა და მექანიზატორთა ძველი და ახალი პლეადის, მათ შორის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის თამარ ყუფუნიას, მეჩაიე-მექანიზატორების ალდა გუგუჩიას, ლუიზა წყაროზიას, მეჩაიეების — სოციალისტური შრომის გმირის გუგუშა ჭითანავას, სულიკო ჭურღულიას, ვერა ჯიქიას, თეთრიკა გეთიას და მრავალთა თავდადებული მუშაობა. სახელი და დიდება მათს მოუღლელ შრომას!

მეჩაიეთა და მექანიზატორთა სახალხო ლაშქრობაში დიდი წვლილი შეიტანა ჩაის ფაბრიკების ზუგდიდის გაერთიანების (გენერალური დირექტორი — რ. ივარდავა) სახელოვანმა კოლექტივმა, სადაც დღედაღამ სამი ცვლის მუშაობით უდანაკარგოდ მიიღეს და ხარისხოვნად გადაამუშავეს მოზღვავებული ჩაის ფოთოლი.

ზღვისპირეთის

სიამაყე

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ავდრიანი იყო აფხაზეთში, შემოდგომაც ავდრით დაიწყო. ცა ხან მოიღუშება და წვიმს, ხან კი მისი ლაჟვარდოვანი ჰიღრმიდან მზე როგორც ბაფხულში, ისე კაშკაშებს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ართულებს პლანტაციებში მომუშავე მეჩაიეთა პირობებს. მაგრამ უამინდობას მეჩაიეები თავიანთ მაღალ ოსტატობას და გამოცდილებას უპირისპირებენ და მასთან ჰიდილში მაინც იმარჯვებენ.

აფხაზეთის მეჩაიეებმა ვადაზე ადრე შეასრულეს თავიანთი ხუთწლიანი გეგმა და სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებაც დროზე გაანაღდეს. აქაურ ჩაის პლანტაციებში ჯერ არასდროს მოუღიათ ასეთი უხვი მოსავალი, როგორც წელს.

საქართველოს მეჩაიეთა წლევანდელ სახელოვან წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა, სამშობლოს მისცეს 89 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული.

მეათე ხუთწლედის დიდი მოსავლისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში განსაკუთრებით ისახელეს თავი გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონების სახელოვანმა მეჩაიეებმა. მათ ვადაზე ადრე უპატაკეს სამშობლოს გეგმებისა და გადიდებულ ვალდებულებათა შესრულება.

— გალის რაიონის ჩაის ნედლეულის მომმოვებლებმა,—თქვა ჩვენთან საუბარში საქართველოს კომპარტიის გალის რაკომის პირველმა მდივანმა ლ. ხაბურზანიამ, — ჯერ კიდევ 16 სექტემბრისათვის შეასრულეს თავიანთი პირვანდელი გეგმა-ვალდებულება, მრეწველობას ჩაბარდა 41.900 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული და პლანტაციებში დამკვრელური დღეები კვლავ გაგრძელდა. პირველი წარმატებებით აღფრთოვანებულმა მწვანე პლანტაციების მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის ჩაის მწარმოებელი მოწინავე რაიონების — მახარაძისა და ზუგდიდის მეჩაიეთა პატრიოტულ თაოსნობას, რომელიც ექვსი წლის გეგმის ხუთ წელიწადში შესრულებას ითვალისწინებდა. აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი გალელმა მეჩაიეებმა და გადაწყვიტეს, რომ სეზონის ბოლომდე კიდევ მოეკრიფათ ოთხი ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. რაიონის ოცი ათასზე მეტი მკრეფავი დადგა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საყრილობო შრომითთა მეურნეობის (დირექტორი — ს. ჯარაია) მშრომელებმა, რომ[illegible] ლებმაც გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 3.300 ტონის ნაცვლად, მრეწველობას მიაწოდეს 3.700 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. რაიონის მეჩაიეთა გამარჯვებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა „აფხაზეთის“ (დირექტორი — ვ. სანგულია), სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს“ (თავმჯდომარე — ნ. ფიფია), სოფელ ქლოუს ლაკობას სახელობის (თავმჯდომარე — მ. ჯოპუა), სოფელ ოხურეთის რუსთაველის სახელობის (თავმჯდომარე — მ. ქვეკვესკირი) და სხვა კოლმეურნეობათა მშრომელებმა. განსაკუთრებით სასახელოდ იშრომა სოფელ კინდღის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ი. მიქვაბია) კოლექტივმა. მათ მეათე ხუთწლედი და მომავალი წლის დავალება ჯერ კიდევ 1 სექტემბრისათვის შეასრულეს.

აჭარიდან იწყება

პლანტაციები

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ მეჩაიეებს, ალბათ, სხვაზე მეტად აქვთ უფლება ილაპარაკონ ამ ძვირფას კულტურაზე, რადგან ასიოდე წლის წინათ ჩინეთიდან და ინდოეთიდან შემოტანილი პირველი თესლი ჩაქვში გაღვივდა და პირველმა ბუჩქმა აქ გაიდგა ფესვი. როცა ცნობილი გახდა, რომ ჩაის ნაყენი სიცოცხლის ელექსირია, იგი ჩაქვიდან თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელდა. ამის შემდეგ ქართველმა მეცნიერებმა გამოიყვანეს რამდენიმე წმინდა ქართული ჯიში, რომლებიც ხარისხითა და მოსავლით ბევრად სჯობნის ადრინდელს. აჭარის მეჩაიეებს ისიც აქვთ საამაყო, რომ ისინი მაქსიმალურად დაეუფლნენ ამ ძვირფასი კულტურის მოვლა-პატრონობის რთულ საქმეს. ამიტომ არის, რომ ჰექტარობრივი მოსავლიანობა აქ ყველაზე მეტია. მაგალითად, წელს ქობულეთის რაიონის მეჩაიეებმა თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 9.000 კილოგრამზე მეტი ნედლეული მოიწიეს.

აჭარის მეჩაიეები დარში თუ ავდარში, სიცხესა თუ სიცივეში პლანტაციებს მზრუნველობას არ აკლებენ. არც კრეფაა ადვილი. თითოეული დუყი მილიგრამს იწონის. რამდენ დუყს უნდა შეეხო, რომ სეზონის განმავლობაში ტონობით ნედლეული მოკრიფო? ჩაი უაღრესად შრომატევადი კულტურაა, ამიტომაც არის, რომ მეჩაიეთა გარჯას დიდი დაფასება მოსდევს. მეჩაიეები გახდნენ შრომის გმირები, ორდენოსნები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, ბევრი მათგანი პარლამენტის წევრია. ჩაი გახდა მეჩაიეთა სიმდიდრისა და ძლიერების წყარო. ასეთია ნაცვლგება.

რა მდგომარეობაა წელს? როგორ დაამთავრეს სეზონი და მოლიანად მეათე ხუთწლედი აჭარის მეჩაიეებმა? ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი. რაც მთავარია, აჭარის მეჩაიეებმა ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულეს, ხოლო ექვსი წლის გეგმა — მიდინარე წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში. ბოლო თვე-ნახევრის მანძილზე 1982 წლის ანგარიშში კრეფდნენ ფოთოლს. აი, როგორ გაუსწრეს დროს მეჩაიეებმა. მეათე ხუთწლედის განმავლობაში მოკრეფილია 291 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაი. გეგმა კი 220.000 ტონას ითვალისწინებდა, ხოლო მეცხრე ხუთწლედთან შედარებით მეათე ხუთწლედში მოკრეფილია 70 ათასი ტონით მეტი.

აჭარის ჩაის პლანტაციებში არასდროს არ მოკრეფილა იმდენი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი,

რამდენიც წლევანდელ სეზონში მოიკრიფა. პირველად ნაკისრი ვალდებულება — 62 ათასი ტონა — სექტემბრის დასაწყისში შესრულდა. მეჩაიეები მიღწეულს როდი დასჯერდნენ, მათ ვალდებულება იკისრეს კიდევ მოეკრიფათ 4.000 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, ესეც შესრულებულია. ისინი აი ასეთი საჩუქრით ხვდებიან პარტიის XXVI ყრილობას.

აჭარაში მეჩაიეობის დიდი რაიონები ქობულეთი და ხელვაჩაურია. ისეთი მაღალი მთის რაიონში, როგორიც ქედაა, ჩაის კულტურამ ოციოდე წლის წინათ მოიკიდა ფეხი და, უხდა ითქვას, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი გახდა. როგორც ვთქვით, აჭარაში ჩაის ფოთლის ძირითადი დამამზადებელი ქობულეთის რაიონია. ქობულეთელმა მშრომელებმა ჩაის მოყვანის მხრივ ერთობ გამოიჩინეს თავი. მათი პლანტაციები მხატვრის ყალმით მოხატულსა ჰგავს, ზღვასავით არის გაშლილი. მათ შარშან შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა, გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 44 ათასი ტონა ფოთოლი. წელს, როგორც იტყვიან, ზღვა მოსავალი მოიწიეს. ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკეთესი სურათია, ისინი ბევრად უსწრებენ საშუალო რაიონულ დონეს. მაგალითად, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი — თ. ცეცხლაძე) ყოველწლიურად ადიდებს მოსავალს. 1975 წელს 3.500 ტონა მოკრიფეს, 1979 წელს — 5000, წელს კი — [illegible] ტონა. [illegible] ახალ და ახალ რეზერვებს ავლენენ და რეკორდული მოსავალი მოჰყავთ. უხვი მოსავლის მოყვანა მნიშვნელოვნად განსაზღვრა მექანიზაციამ. მთელი მოსავლის 80 პროცენტი მანქანებით იკრიფება. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კ. სეფისკვერაძე, მექანიზატორები ე. კურტანიძე, გ. ხვიჩია, ი. მიქაუტაძე, ს. მაჭავარიანი მანქანა „საქართველოთი“

თითოეული წელიწადში საშუალოდ 100 ტონას კრეფს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — მ. გიორგაძე). მიუხედავად იმისა, რომ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები ხანდაზმულია, აქაურები სამი ათას ტონამდე ჩაის ფოთოლს კრეფენ. ხელის აპარატებით ს. ვაშაყმაძემ, ც. ბოლქვაძემ, გ. ვეფიაძემ, მ. ბადიშიანმა და სხვებმა თითოეულმა 25-25 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

რაიონში ჩაის კრეფის გეგმა ყველაზე ადრე შეასრულეს ჩაისუბნელებმა. უხვი მოსავალი მოიყვანეს ხუცუბნელებმა, დაგველებმა, ალამბრელებმა, ბობოყვათელებმა და სხვებმა. მოკლედ, „დიდი ჩაისათვის“ ბრძოლას ქობულეთელი მეჩაიეები თავდადებული შრომით უპასუხებენ.

ხელვაჩაურელები წელს 20.500 ტონა ჩაის მოსაყვანად იბრძოდნენ. წინა ხუთწლედთან შედარებით მეათე ხუთწლედში მოკრიფეს 26 ათასი ტონით მეტი, ხოლო საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი გაზარდეს 2.300 კილოგრამით. რაც მთავარია, ხელვაჩაურელებმა მინიმუმამდე შეამცირეს პლანტაციების სიმეჩხერე, გამორგეს მილიონ გრძივ მეტრზე მეტი, რამაც დაახლოებით 180 ჰექტარი შეადგინა, ეს კი 1.000 ტონით გაზრდის მოსავალს. განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოიყვანეს ახალშენში, სადაც საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა 13 ტონას გადააჭარბა. ყველაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს ჩაისუბნელებმა — 3.290 ტონა, ხოლო ყველაზე ადრე წლიური გეგმა ხელვაჩაურის კოლმეურნეობამ შეასრულა. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი მოწინავე მეჩაიეებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნადეედა ბარამიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მექანიზატორმა მელანო დუმბაძემ და სხვებმა. ისმაილ დუმბაძის ოჯახმა წელს 40 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. რამდენი ასეთი თავდადებული შრომელის ჩამოთვლა შეიძლება! ამით უნდა აიხსნას, რომ ხელვაჩაურელებს 1982 წლის ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვთ 7 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სასახელოდ იშრომეს სხვა რაიონების მეჩაიეებმა. ჩაის ფოთლის სიუხვის ბევრი ოსტატი ჰყავთ წალენჯიხის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს. მათი მაგალითით ბევრი ახალგაზრდა ენერგიულად შრომობს. ამიტომაა, რომ წალენჯიხელებმა 29.500 ტონის ნაცვლად 31.100 ტონა ნედლეული მიჰყიდეს სახელმწიფოს.

ნახევარმილიონიანი მიჯნის დალაშქვრაში საამაყო წვლილი შეიტანეს წყალტუბოს, ტყიბულის ზონების, გეგეჭკორის, ცხაკაიის, ხობის, წულუკიძის რაიონების მეჩაიეებმა. მათ არა მარტო წლევანდელი, არამედ ხუთწლედის დავალებანიც დიდი გადამეტებით შეასრულეს.

ჩაის პლანტაციები ჩვენი შავიზღვისპირეთის, კოლხეთის მიწის ნამდვილი მშვენებაა. ჩაის ბუჩქმა დაამშვენა ოდესღაც ჭაობიანი დაბლობები და მთის ფერდობები. ჩაის პლანტაციაა აქაურ მშრომელთა სიმდიდრის დაუშრეტელი წყარო. აქაური მშრომელები ჩაიმ ააშენა და სოფლები დაამშვენა.

ახლაც, როცა ფოთლის კრეფის სეზონი მიიწურა, მეჩაიეები ისევ პლანტაციებში არიან. ისინი მომავალი წლის უხვ მოსავალს ამთავრებენ უყრინაწ საფუძველს. თვითონაც ემზადებიან მომავალი გმირული შრომისათვის.

ვინ იცის, მეათე ხუთწლედის დასასრულს რამდენი მეჩაიე დაიმშვენებს მკერდს ორდენებითა და მედლებით, გაამლიერებს და გაახარებს ოჯახს. ეს ყოველივე კოლექტიური შრომის ნაყოფია. ამიტომაც თავს ევლებიან საზოგადოებრივ მეურნეობათა პლანტაციებს, ყოველ ბუჩქს, რადგან მისგან ღებულობენ ადამიანურ სიკეთეს.

ალალი იყოს თქვენზე ყოველი ამქვეყნიური სიკეთე, ჩვენო ძვირფასო მეჩაიეებო!

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — ჩაის სიუხვის დიდოსტატი, ზუგდიდელი ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია, სოციალისტური შრომის გმირი მეჩაიე აფხაზეთიდან ა. ვოუბა, მახარაძელი სახელოვანი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ქადეიშვილი და აჭარელი მეჩაიე ფ. ჯინჭარაძე; მარცხნივ ქვემოთ — ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა ინგირის სახბჭოთა მეურნეობაში.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲔᲡ:

Ვ. ᲒᲝᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ, Გ. ᲜᲝᲓᲘᲐᲡ, Ი. ᲒᲝᲒᲔᲩᲘᲐᲡ ᲓᲐ Მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ.

Მ. ᲙᲣᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ.

სადაც „დავითიანი“ დაიწერა

ძველ მირგოროდში ყველა მცხოვრებმა იცის დავით გურამიშვილის სახელი, უყვარს და აფასებს მის შემოქმედებას ისევე ღრმად, როგორც კულტურის ბევრი გამოჩენილი მოღვაწის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. აქ პოვა ქართველმა მამულიშვილმა თავისი მეორე სამშობლო. მეორე მდინარე ხოროლის ნაპირზე მდებარე სოფელში დასახლდა და დარჩა კიდევ აქ გარდაცვალებამდე, რათა მსოფლიოსათვის ებოძებინა თავისი შესანიშნავი „დავითიანი“, რომელიც მარგალიტივით აბრწყინდა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში.

16 ოქტომბერს პურ-მარილით შეხვდნენ აყვავებული პოლტავის ოლქის მშრომელები დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმობათა მონაწილეებს. მირგოროდში სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც რაიონული ცენტრის მთავარ მოედანზე დგას.

შემოდგომის ნაირ-ნაირი ყვავილებით მოირთო დავით გურამიშვილის ძეგლი. ეს მონუმენტი დაიდგა თერმეტი წლის წინათ უკრაინელი მოქანდაკეების ა. ნიმეკოს, ნ. ობოზნიუკისა და არქიტექტორ ვ. ჟიგულინის პროექტით. ავტორებმა მასალად გამოიყენეს მტკვრისპირა კლდიდან მოგლეჯილი გრანიტის ლოდი, რომელიც პოლტავის ოლქში ჩამოიტანეს.

ამის შემდეგ მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები აღმოსავლური ჩუქურთმით შემკულ სვეტებთან სახლთან მივიდნენ. აქ არის დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, სადაც შეკრებილია მასალები, რომლებიც მის ცხოვრებასა და შემოქმედების გზას ასახავს.

ახლობელი და ღვიძლი გახდა ეს სახლი ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის. ყოველწლიურად მას 40 ათასზე მეტი კაცი ათვალიერებს.

ქალაქის ასობით მცხოვრები შეიკრიბა კუთრორტ „მირგოროდის“ კულტურის სასახლეში საიუბილეო საღამოზე, რომელიც ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დაბადების 275-ე წლისთავს მიეძღვნა. იგი გახსნა უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა პავლო ზაგრებელნიმ.

დავით გურამიშვილის სახელი, რომელიც ადამიანებს აერთიანებს, თქვა მან, შოთა რუსთაველის, პუშკინის, შევჩენკოს, კულტურის ყველა დიდოსტატის სახელების გვერდით დგას. იგი ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხების მეგობრობის სიმბოლოა. საქართველოში დაბადებული პოეტი ბედმა რუსეთში მიიყვანა, შემდეგ კი უკრაინაში, სადაც მუდამ ხედავდა თავის სამშობლოს, ესმოდა მისი ხეთა შრიალი, დედის სიმღერები, სადაც უკვდავი „დავითიანი“ დაწერა. ამ ნაწარმოებს დრომ ვერაფერი დააკლო, იგი ყველა საბჭოთა ადამიანის კუთვნილება გახდა.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდა პარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი თ. ტ. მორგუნი. დავით გურამიშვილი,— თქვა მან,— ჩვენი საერთო სიამაყე, ჩვენი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხის საერთო კუთვნილებაა. ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დაბადების 275-ე წლისთავს მიეძღვნა. იგი გახსნა უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა პავლო ზაგრებელნიმ.

ჩვენს დღეებში საბჭოთა მიწის ყოველი მტკავლი გახდა მეგობრობის ბასტიონი, ის ადგილები, კი, რომლებმაც კაცობრიობას დიდი მწერლები მისცეს, წმიდათაწმიდად იქცა. პოლტავის მიწა-წყალი, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი გენიალურ გოგოლსა და კოტლიარევსკის, შთაგონებდა მაქსიმ გორკის, მთე ტალკასა და ბევრ სხვა სიტყვის გამოჩენილ ოსტატს. შოთა რუსთაველის სულიერი მემკვიდრე დავით გურამიშვილი ეკუთვნოდა თავისი ერის საუკეთესო მამულიშვილებს. პოლტაველები ამაყობენ იმით, რომ თავის აზრებსა და სახეებს პოეტმა ხორცი შეასხა მათს მიწაზე, სადაც მან თავისი სახლი და მარადიული სავანე პოვა. მას შემოქმედებითს მიღწევაში ეხმარებოდნენ ჩვენი სიმღერებიც, ჩვენი ჩიტებიც, მდელოებიც და მუხნარებიც, ხოდაბუნებიც, ჩვენი წინაპრების კეთილი, ნათელი გულებიც.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

— დღევანდელი ზეიმობა, — თქვა მან, — განსაკუთრებული, სრულიად განუმეორებელი დღესასწაულია დავით გურამიშვილის ახლანდელ საიუბილეო დღეთა შორის. აქ, პოლტავის ტყეებსა და მინდვრებს შორის, საყვარელი სამშობლოსაგან დაშორებით გაატარა მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები. პოემა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი უკრაინელ ხალხს, რომელმაც იგი ითაყვანა და წლების მანძილზე გამოატარა სიტყვის ოსტატის სახელი და შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ხალხს ტკივილი და გმირობა, ტრაგედია და სიდიადე, სასოწარკვეთილება და იმედი თანაბარი ძალით ეღერს გურამიშვილის შემოქმედებაში. უკვდავ „დავითიანში“ გვირგვინად ჩაწნულა თითქმის ყველა მისი ლექსი და პოემა, გამსჭვალული ცხოვრების სიბრძნით. წერნის ავტორი რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების ძმობისა და სიყვარულის პირველი მომღერალია.

ჰაბუკობაში დავით გურამიშვილი ზედაზენიდან გადაჰყურებდა მთელ საქართველოს. ამავე მწვერვალიდან შეიძლება დავინახოთ ჰატარა დაბა სურამიც — ლესია უკრაინკას სავანე. არის უდიდესი სამბოლური აზრი იმაში, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მიედინებოდა დავითის წყაროს მახლობლად, ხოლო გურამიშვილის მზე ჩაესვენა მოღდუნე ხოროლის პირას. თითქოს ჩვენმა ხალხებმა ერთმანეთს გაუცვალესო ყველაზე ძვირფასი რამ — თავიანთ მგოსანთა გულები და ქნარები. დროთა მწვერვალებიდან ჩვენ ვხედავთ მათი სიცოცხლის სიმართლეს, რაც საწინდარი და მაცნე გახდა იმ მეგობრობისა, რომელიც გააცისკროვნეს თავიანთი სახელებით, ვხედავთ კავშირს, რომლითაც დღეს შედუღაბებულია მახარაძეულ და გენიჩესკელ კოლმეურნეთა, რუსთაველ და დონეციკელ მეფოლადეთა, თბილისელ და კიეველ მეცნიერთა და ლიტერატორთა, საქართველოსა და უკრაინის შემოქმედებითი ახალგაზრდა ინტელიგენციის მეგობრობა. დღეს, სკკპ XXVI ყრილობის წინ, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გამარჯვების ატმოსფეროში დავით გურამიშვილის იუბილე ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

შთამბეჭდავად გაისმა სოფელ ზუბოვკის მასწავლებლის ლ. ნ. დინეცისა და ტასკერ „დავით გურამიშვილის“ მექანიკოსის ვანო ზაქარაიას გამოსვლები, რომლებმაც ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ უყვართ ახალგაზრდებს ქართველი პოეტის მგზნებარე მუზა, რა ახლობელი და ძვირფასია იგი ყველა მოძმე რესპუბლიკის მშრომელებისათვის.

ნათელ ლექსთა სტროფებით დაწნული პოეტური გვირგვინი მიართვეს ძღვნად მსმენელებს მწერლებმა ვლადიმერ სოლუხინმა, ივანე დრაჩმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ვიტალი კოროტიჩმა, რაულ ჩილაჩავამ, მიხეილ შევჩენკომ, ნოდარ გურეშიძემ, მიკოლა ვინგრანოვსკიმ.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ბ. ვ. ივანენკო, პარტიის მირგოროდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. რადკო, მირგოროდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. თ. მიკოლაენკო.

ლ. კისელიოვა,
ა. კოროგბჩაკი,
რატაუს კორესპონდენტები.

მ. იაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა მიხეილ ვიქტორის ძე **იაშვილი**, 1939 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი.

მ. იაშვილი დაიბადა 1917 წელს თბილისში, მუშის ოჯახში. ბავშვობიდანვე შეიცნო გაჭირვება, ადრე დაიწყო შრომითი საქმიანობა. იგი ერთმანეთს უხამებდა მუშაობასა და სასოფლო-სამეურნეო მუშფაკში სწავლას. 1936 წელს მ. იაშვილმა სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. აქედან იგი გაგზავნეს უმცროს სამხედრო სპეციალისტთა სკოლაში, ხოლო შემდეგ ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ დანიშნეს მესანგრეინჟინერთა ბატალიონის უმცროს მეთაურთა მოსამზადებელი სკოლის პოლიტხელად.

დიდმა სამამულო ომმა მ. იაშვილს დასავლეთის საზღვარზე მიუსწრო. საბჭოთა შეიარაღებული ჯარების რიგებში მან განვლო საბრძოლო გზა ბერლინამდე. მსახურობდა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სპეცნაწილების პოლიტგანყოფილების უფროსად, ბალტიისპირეთის მეორე, ლენინგრადის ფრონტების პოლიტსამმართველოს უფროს ინსტრუქტორად, იყო მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს ინსპექტორი. ომის დამთავრების შემდეგ მ. იაშვილი დიდხანს მსახურობდა არმიაში, 20 წლის მანძილზე —1958-დან 1978 წლამდე— იყო საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი.

1978 წლიდან გადამდგარი პოლკოვნიკი მ. იაშვილი პარტიულ სამუშაოზეა: იგი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების მისაღების გამგე. 1976 წლიდან— საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი.

მ. იაშვილი დიდხანს მუშაობდა ადამიანებთან. გულისხმიერება, ადამიანებისადმი. მათი საჭიროებისა და საზრუნავისადმი ყურადღება, გულთბილობა და გულითადობა მან შეუხამა პარტიულ პრინციპულობას, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, მოქალაქეობრივი და პარტიული მოვალეობის მაღალ გრძნობას.

მ. იაშვილი არაერთგზის აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის სარეგიონო კომისიის წევრად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

სამშობლომ დიდად დაფასა მ. იაშვილის დამსახურება. იგი დაჯილდოებულია ოთხი წითელი ვარსკვლავის ორდენით, ორი II ხარისხის სამამულო ომის ორდენით, მრავალი მედლით.

დავკარგეთ კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, დაუცხრომელი მშრომელი, შესანიშნავი ამხანაგი, მაგრამ მისი ნაღვაწი ღრმა კვალს დატოვებს იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ა. ს. ქემოკლიძე, შ. დ. ცაბარეიშვილი, ვ. ნ. ჯანჯღავა, რ. ტ. ნიორაძე, ლ. ლ. შარაშენიძე, ა. ი. შირინკინი, ი. ო. ანდრიაძე, ნ. ა. ჭვანია, მ. ა. წერეთელი.

19 ოქტომბერი კვების მრეწველობის მუშაკთა დღეა

მადლიანი შრომის საფასური

წალკოტია, ნამდვილი წალკოტია თბილისის კონიაკის კომბინატი ტრიუმფრია. ვინ იცის რამდენი სიყვარული და სითბო ჩაქსოვა საწარმოს კოლექტივმა საქმეს, ვიდრე ოდესღაც ხრიოკ ეზოს ტყე-პარკად გადააქცევდა, ნეტავ განახათ, როგორი გულითა და სულით არის მოვლილი აქ დარგული ყოველი ხე, და ბუჩქი, რა გემოვნებითა და ოსტატობით არის გაშენებული სკვერები და გაზონები, რა მადალმხატვრულად გაუფორმებიათ საწარმოს კედლების პანოები.

ახლა საამქროებში შებრძანდით. და გადახედეთ აქ დამონტაჟებულ თანამედროვე ტექნიკას, დაკვირდით, რა დამშვიდებული სახით აკეთებენ თავიანთ საქმეს თეთრ ხალათებში გამოწყობილი მანდილოსნები და მამაკაცები, ერთი სიტყვით, საწარმოში ყველა პირობაა შექმნილი დიდმწარმოებლური შემოქმედებითი შრომისათვის. გაუზიადებლად შეიძლება ითქვას, რომ აქ სუფევს ფორმისა და შინაარსის ნამდვილი ჰარმონია, შერწყმიან ერომანეთს სიფაქიზე და ვაჟკაცობა.

განა ვაჟკაცობად არ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კომბინატის კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმა მიმდინარე წლის პირველ ივნისისათვის შეასრულა? მომხმარებელი ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით 60 მილიონი. მანეთის პროდუქციას მიიღებს, ანა წარმოიდგინეთ, რა შედეგებს მიაღწევდა რესპუბლიკის მრეწველობა ყველას რომ ასეთი ბარაქიანი „მოსავალი“ მოეწია?! წარმატება უპირველესად წარმოების მოცულობის შეუნელებელმა ზრდამ განაპირობა. მარტო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 17 პროცენტით გადიდდა, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა ხელფასის ზრდის ტემპს 8,9 პროცენტით გაუსწრო, ყოველივე ამან საშუალება მისცა დირექციის მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური წახალისებისათვის 776 ათასი მანეთი გაეღო,

ქართულ კონიაკზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, მასზე მრავალი საინტერესო ფაქტი და ციფრიც მოგვიყვანია. მიუხედავად ამისა, არ იქნებოდა ზედმეტი თუ კვების მრეწველობის მუშაკთა საზეიმო დღეს ზოგიერთს კვლავ გავიხსენებთ, თუნდაც იმ ფაქტს, რომ 1955 წლიდან მოყოლებული, არ ყოფილა არც ერთი საკავშირო და საერთაშორისო მნიშვნელობის გამოფენა-დეგუსტაცია, სადაც თბილისური კონიაკის არ მიეღოთ მონაწილეობა და სპეციალისტთა ერთსულოვანი მოწონება არ დაემსახურებინოთ. ამას მოწმობს 42 ოქროსა და 10 ვერცხლის მედალი, რომლებიც „თბილისს“, „ენისელს“, „ვარციხეს“, „გრემს“, „ვარძიას“ და სხვა მზიურ სასმელებს ხვდათ წილად. კომპეტენტურ სპეციალისტ-დეგუსტატორთა აზრით ჩვენებური კონიაკები ტოლს არ უდებს მსოფლიოში განთქმულ ფრანგულ სასმელებს, თბილისური კონიაკებს იცავენ სოციალისტური და მრავალი კაპიტალისტური ქვეყანა იძენს, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, კანადა, ახალი ზელანდია...

წლის დამთავრებამდე ციტა დრო დარჩა, — გვიუბნება კომბინატის დირექტორი ო. რობაჭიძე, — დაიწყო სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გადამწყვეტი უტაპი. ჩვენთან, რასაკვირველია, არ არის არც ერთი ჩამორჩენილი უბანი, მაგრამ საუკეთესოთა შორის არიან საუკეთესონი. პირველობენ საკუთაქი და ჩამოსხმის საამქროების კოლექტივები, რომლებსაც შესაბამისად დ. ელეოზაშვილი და ვ. ბოყოჩაძე ხელმძღვანელობენ, შრომითს მეტოქეობაში კარგ შედეგს აღწევენ მუშები — გ. ცხენოსანიძე, ქ. გოგიშვილი, ე. გამხუაშვილი, თ. გოგლაძე, მ. მიშელაშვილი.

თბილისის კონიაკის კომბინატი სსრ კავშირის კვების მრეწველობის კომუნისტური შრომის სამაგალითო საჩვენებელი საწარმოა, მისმა კოლექტივმა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში მდიდარი გამოცდილება შეიძინა, თავის დარგში მან ერომა პირველობაგანმა დანერგა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა და მიაღწია ყველა სახეობის ნაწარმის სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოშვებას. შეძლო ისიც, რომ პროდუქციის მატების 90 პროცენტზე მეტი შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მიეღო. კიდევ ერთ მეტად საგულისხმო დეტალი: კომბინატის განვითარების ოცწლიან პერსპექტიულ გეგმას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ წარმოების მოცულობის ზრდის მხრივ აქ 1990 წლის დონისათვის მიუღწევიათ.

ძალზე მასშტაბური საწარმოს განვითარების პროგრამა ახლო მომავლისათვისაც. კონიაკის გამოშვება 2 მილიონ დეკალტრამდე უნდა გადიდდეს. ეს ნიშნავს, რომ წარმოების მოცულობა 1,5 ჯერ და მეტად გაიზრდება. ამოცანა, რომელიც საწარმოს კოლექტივის წინაშე დგას აუცილებლად გადაწყდება. როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, აქ საკმაოდ ძლიერი ბაზაა შექმნილი მეთერთმეტე ხუთწლიდის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, დაიდგა ახალი, საათში 3 ათასი ბოთლი მწარმოებლობის ავტომატური ჩამომსხმელი ხაზი, მალე საათში 7 ათასი ბოთლი მწარმოებლობის ავტომატური ხაზიც ამოქმედდება, გრაფიკის გასწრებით მიმდინარეობს საამქროების ახალი ტექნიკით აღჭურვა.

წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს ახალი სამსართულიანი საწარმო კორპუსის შენებლობა, სადაც ტარა-ჭურჭელი მოთავსდება. ეს სიახლე კიდევ უფრო აამაღლებს წარმოების კულტურას, ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, კომბინატის ადმინისტრაცია ამ საზეიმო დღეს თხოვნით მიმართავს საქართველოს სოფლის მშენებლობის სამინისტროს დააჩქაროს ზემოხსენებული კორპუსის საექსპლოატაციოდ გადაცემა, არ დაიღალატოს საწარმო ჩანაფიქრის განხორციელებაში.

თბილისის კონიაკის კომბინატი ღირსეულად შეხვედა თავის ტრადიციულ დღესასწაულს — კვების მრეწველობის დღეს, ახალი შრომითი საჩუქარს უმზადებს სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

შ. ამაშუკელი.

სურათზე: თბილისის კონიაკის კომბინატის მოწინავე სპეციალისტთა და მუშათა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ნ. მახარაძე, მთავარი ტექნოლოგი კ. გველესიანი, ლაბორატორიის გამგის მოადგილე ც. ავალიანი, ჩამოსხმის საამქროს მოწინავე მუშები უ. გოგიშვილი და გ. ცხენოსანიძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

საერთაშორისო ცხოვრება

დღევანდელი ჩვენი

მეშვიდობისა და თანამშრომლობის კურსით

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოლაპარაკება მოსკოვში, სიტყვები, რომლებიც კრემლში წარმოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ბ. ქარმალმა, მსოფლიო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოლაპარაკების მასალებს ცენტრალური ადგილი უკავია ავღანური პრესის ფურცლებზე, რომელმაც ლ. ი. ბრეჟნევისა და ბ. ქარმალის სიტყვების სრული ტექსტები გამოაქვეყნეს. იმ იმპერიალისტურმა და რეაქციულმა წრეებმა, რომლებიც ხელყოფენ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას, დროა შეიგნონ, რომ მათ ავანტიურისტულ გეგმებს ახდენა არ უწერია, წერს მოლაპარაკების მიმდინარეობის განმარტებისას გაზეთი **„ჰაბულ ნიუ ტაიმსი“**. რევოლუციური პროცესი ავღანეთში შეუქცევადია. ავღანელ ხალხსა და მის მთავრობას მხარში უდგანან და სოლიდარობას უცხადებენ საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები. საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობამ, აცხადებს სხვა ავღანური გაზეთი **„ჰიკადი“**, დროის გამოცდას გაუძლო და თვისებრივად ახალი ხასიათი შეიძინა აპრილის რევოლუციის ახალი ეტაპის დაწყების შემდეგ.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მტრები მათ მიერ ხელოვნურად გაზვიადებულ ეგრეთ წოდებულ „ავღანეთის საკითხს“, უფრო ზუსტად კი ცილისწამებას ავღანეთის რევოლუციისა და საბჭოთა კავშირისადმი, იყენებენ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ დაძაბულობა და კიდევ უფრო გაალიერონ თავიანთი მილიტარისტული აქტიურობა, აღნიშნავს უნგრეთის გაზეთი **„ნეფსაბაჯშაგი“**.

საბჭოთა ხელმძღვანელმა მოსკოვში საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოლაპარაკების დროს გამოსვლისას ამერიკის შეერთებულ შტატებს პასუხისმგებლობა დააკისრა მსოფლიოში მზარდი დაძაბულობისათვის, ამასთან ღონიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ დონეს მიაღწია გამალებულმა საომარმა მზადებამ და აღვირახსნილმა პროპაგანდამ, შეიძლება ითქვას, ბირთვული ომის ქება-დიდებამ, აღნიშნულია დასავლეთ გერმანიის პრესის საააგენტოს ცნობაში.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოსკოვის მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირის სახელით მისმა ხელმძღვანელმა ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ დაადასტურა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს მშვიდობის საქმისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იმპერიალისტური ხელყოფის წინააღმდეგ. წერს გაზეთი **„ნოიეს დოიჩლანდი“** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

საკლესისა და ახალი ამბების საააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ცხარე ბრძოლები გრძელდება

ბაღდადი, 18 ოქტომბერი. ერაყისა და ირანის ჯარები განაგრძობენ ცხარე ბრძოლებს. ერაყის ჯარები, ისევე როგორც წინა დღეებში, მთელ ძალებს ახმარენ ირანის ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის ცენტრის — ქალაქ აბადანის ხელში ჩაგდებას. ორივე მხარის ავიაცია დღის განმავლობაში ბომბავდა სხვადასხვა ობიექტს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე.

ერაყის თვითმფრინავებმა, ნათქვამია ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, გუშინ დაბომბეს ირანის ბენდერშაჰფურის ნავსადგური, გაანადგურეს იქ მყოფი 4 გემი, ბენდერ-მაშირის ნავსადგური, სადაც მოსპეს ნავმისადგომი და სათბობის საწყობები, სამხედრო ბანკი ქალაქ ნაკრის ჩრდილოეთით, თავრიზის სამხედრო-საჰაერო ბაზა და სხვა ობიექტები.

ირანის ავიაცია თავს დაესხა ბაღდადს, აგრეთვე სულეიმანიის პროვინციის არბათისა და ბენჯუინის რაიონებს, მაისანისა და თაამმის პროვინციებს.

თეირანი. ფრონტიდან მიღებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ერაყის ჯარები კვლავინდებურად, მიუხედავად განუწყვეტელი შეტევებისა, ვერ ახერხებენ აბადანისა და ჰორემშეხრის ხელში ჩაგდებას.

ჰორემშეხრის დამცველებმა შეძლეს ქალაქის ფარგლებს გარეთ უკუეგდოთ იერიშზე გადმოსული მოწინააღმდეგის ჯარისკაცები. ანლა ვითარება რამდენადმე მოწესრიგდა. როგორც თეირანის რადიო იუწყება, ჰორემშეხრის მისადგომებთან ბრძოლები გრძელდება.

ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ირანის ავიაცია „განაგრძობს თავდასხმებს ერაყის ობიექტებზე.

„კომუნისტის“ კომენტარი

სეპარატიზმის ქრონიკა

როდესაც ცნობილი გახდა, რომ ე. წ. პალესტინის ადმინისტრაციული ავტონომიის საკითხზე სამხრივი მოლაპარაკების მორიგი ტური ვაშინგტონში შედგებოდა, საერთაშორისო წრეებში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი დამკვიდრდა. მიმომხილველთა ერთი ნაწილი სკეპტიკურად განიხილავდა მომავალი რაუნდის შედეგებს, ხოლო მეორე ნაწილს კი მიაჩნდა, რომ თეთრი სახლი ისრაელს ან ეგვიპტეს აიძულებდა დაეთმო და ჩიხიდან გამოეყვანა გაჭიანურებული მოლაპარაკება.

დღეს ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა პოლიტიკურ დივიდენდებს მიიღებდა მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში პირადად პრეზიდენტი კარტერი — არჩევნების წინ იგი მნიშვნელოვნად განიმტკიცებდა პოზიციებს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ თეთრი სახლი ცდას არ დაიკლებდა, რათა მოჩვენებითი პროგრესი მაინც უზრუნველეყო. მიუხედავად ყოველივე ამისა, გასულ ოთხშაბათს ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში სოლომონ ლინოვეიც იძულებული გახდა საჯაროდ ეღიარებინა მწარე სინამდვილე — მოლაპარაკება ვაშინგტონში სრული მარცხით დამთავრდა. ერთადერთი საკითხი, რომელშიც შეთანხმდნენ, ეს არის მომავალი შეხვედრა, რომელიც ნოემბრის შუა რიცხვებშია დაგეგმილი.

მართალია, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც წარუმატებლად მთავრდება მოლაპარაკება პალესტინის საკითხზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ვაშინგტონის ტურს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, სადათისა და ბეგინისათვის. საქმე ის არის, რომ მომავალი, ნოემბრის ტური უკვე შეიძლება გამოცხადდეს რესპუბლიკელთა ადმინისტრაციის ეგიდით, რაც, მიმომხილველთა აზრით, ისრაელისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ეგვიპტისათვის.

რეიგანი დღეს კარტერს, ანტიისრაელურ პოლიტიკაშიც სდევს ბრალს. რაც შეეხება კარტერს, ერთი მხრივ, მას უკიდურესად სჭირდება პროგრესი მოლაპარაკებაში, ხოლო, მეორე მხრივ კი, მისთვის უკიდურესად სარისკოა ისრაელის განაწყენება არჩევნების წინ. სადათი? როგორც ჩანს, ეგვიპტის პრეზიდენტმა უკვე გადაბიჯა დათმობათა მაქსიმალურ ზღვარს აღნიშნულ საკითხში და შემდგომი დათმობა მისთვისაც სახიფათოა. როგორც ვხედავთ, მდგომარეობა თითქმის გამოუვალია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ არსებული ვითარება სავსებით ხელს აძლევს ისრაელს მთავრობას მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელია რაიმე ცვლილებები.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

18 ოქტომბერი

● **ბუქარესტი.** აქ გაიხსნა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების სესია. დღის წესრიგშია კანონპროექტები რუმინეთის 1981 წლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი ეროვნული გეგმის, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების შესახებ და სხვა საკითხები.

● **ათენი.** სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის ლიდერმა ა. პაპანდრეუმ საბერძნეთის მთავრობას მოუწოდა უარყოს ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში ქვეყნის დაბრუნების გეგმები.

ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების გამსვლელი სესია თბილისში

საბჭოთა მედიცინის საუკეთესო წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი 15-17 ოქტომბერს თბილისში, რათა მონაწილეობა მიეღოთ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების გამსვლელი სესიის მუშაობაში.

სკკპ XXVI ყრილობის წინ ჩვენი ქვეყნის წამყვანმა მედიკოსებმა შეაჯამეს გარემოს ჰიგიენის სხვადასხვა მიმართულებით წარმოებული კვლევის შედეგები. ჰიგიენისტთა გარდა, სესიის მუშაობაში ფართოდ მონაწილეობდნენ გენეტიკოსები, ფიზიოლოგები, ონკოლოგები და სხვა პროფილის სპეციალისტები.

— საბჭოთა ჰიგიენისტების წარმატებები, თქვა სესიის გახსნისას სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ბლოხინმა,— უწინარეს ყოვლისა, მიღწეულია იმ უდიდესი ზრუნვის წყალობით, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია.

შემდეგ მოხსენება „გარემოს ჰიგიენის აქტუალური პრობლემები“ წაიკითხა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. სიდორენკო მ. საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს ჰიგიენის დარგში კვლევის მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს მიუძღვნა თავისი მოხსენება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა პროფესორმა გ. ლეჟავამ.

მოხსენებებით გამოვიდნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ნ. ბოჩკოვი, გ. სერდიუკოვსკაია, ლ. ილინი, დ. ჩემოტარიონი; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ბოროდინი და სხვები.

სესიის შედეგების განმარტებისას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარმა სწავლულმა მდივანმა, სსრ კავშირის მედიცინის აკადემიის აკადემიკოსმა ნ. პ. ბოჩკოვმა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს:

— სკკპ XXV ყრილობამ ბუნების დაცვის პრობლემა ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად დასახელა და საბჭოთა მეცნიერი-ჰიგიენისტების წარმატებები კომუნისტთა ქვეყნის ფორუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ნაყოფიერი მეცადინეობის შედეგია.

უკანასკნელი წლების სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები მიზნად ისახავს ჰიგი

„ოქროს მერკურის“ ლაურეატები

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ამ დღეებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მოსკოვის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში მოეწყო საბჭოთა და უცხოთის ქვეყნების ორგანიზაციების და ფირმების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. ეს იყო საერთაშორისო პრემიის „ოქროს მერკურის“ რიგით XX ოფიციალური კონფერენცია-დაჯილდოება.

სასტუმრო ჯილდოები გადაეცათ იმ ორგანიზაციებსა და ფირმებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საერთაშორისო თანამშრომლობის და სამრეწველო კონტაქტების განმტკიცებაში.

საერთაშორისო კომიტეტი „ოქროს მერკური“ დაარსდა 20 წლის წინათ იტალიაში. ყოველ წელიწადს ეს ორგანიზაცია საპატიო მედლებით და პრემიებით აჯილდოებს სახელმწიფო ხელმძღვანელებს, ორგანიზაციებს, წარმოებებსა და ფირმებს.

საიუბილეო XX ოფიციალური დაჯილდოება მოეწყო ჩვენს ქვეყანაში. საზეიმო ცერემონიალი შესავალი სიტყვით გახსნა საერთაშორისო პრემიის „ოქროს მერკურის“ საბჭოთა კავშირის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტმა, ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ბორისოვმა. გამოვიდნენ მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ნიკოლსკი და „ოქროს მერკურის“ აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი ლორენცო გალო. შემდეგ მოეწყო ჯილდოების გადაცემა.

მეტად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ დაჯილდოებულთა შორის იყო **საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ქალაქ ფოთის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშენებელი და გემთსაშენებელი ქარხანა...**

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენი რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის და მისი თავმჯდომარის გ. ოყროშიძის სახელზე რომიდან ასეთი დეპეშა მოვიდა:

„პატივი გვაქვს გაცნობოთ, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნული საორგანიზაციო კომიტეტის რეკომენდაციით „ოქროს მერკურის“ აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დაჯილდოვოს „ოქროს მერკურის“ სამახსოვრო ემბლემით საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატა, მისი დიდებული ღვაწლისათვის სამშენებლო „ბრძოლასა და საერთაშორისო კონტაქტების განმტკიცებაში“.

დეპეშას ხელს აწერს ლორენცო გალო. აი, რა განაცხადა დაჯილდოების შემდეგ მარტის ბოლომდე საბჭოთა კავშირის სტუმრები ვართ, — თქვა კოტე ციცეშვილმა, — ხოლო გაზაფხულზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ბელგიას, ჰოლანდიას და კვლავ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას ვეწვევით.

— ჩანს, დიდ დაინტერესებას იჩენენ უინულოვანი ასპარეზისადმი ქვეყნები, სადაც ყინვა არ იცის.

— ძალიან დიდ დაინტერესებას, რასაც დიდი შემოსავალიც მოსდევს.

— არსებითი ნიშან-თვისება თქვენი ჩანაფიქრისა?

— ეს გაკლავთ, ძირითადად, რეიეუ. ზღაპარივით ლამაზი, სანახაობითი ხასიათის სურათების ნახვით უნდა დაისვენოს, ისიამოვნოს, თვალი გაახაროს მაყურებელმა.

— მხოლოდ და მხოლოდ მოზრდილმა მაყურებელმა თუ მოზარდმაც?

— „ვარშავიული ეტიუდები“ იმდაგვარად აკეთე, რომ იგი დიდებისთვისაც საინტერესო გამოდგა და პატარებისთვისაც. ჩვენი უმთავრესი ამოცანა ახსამბლურობაა, თუმცა „ვარსკვლავებიც“ გვყავს.

— დახი დიდია?

— 80 წევრია დასში. უმრავლესობა გოგონებია. ძალზე დიდი რეკვიზიტი გვაქვს და აქედან მარტო 800 კოსტუმია!

„ვარშავიის ეტიუდები“ და „კოქტეილი“ — ასე დავასათაურეთ ეს ორნაწილიანი წარმოდგენა და, ვიცი რა თანამემამულეთა გემოვნება, ყველას ეპატიჟები. მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ჩემი შემოქმედება გავაცნო საამბოლოს, — ამბობს დასასრულ კოტე ციცეშვილი და გემშვიდობება — იგი დასავლეთ ბერლინში მიემგზავრება და ჩქარობს.

მაშ ასე, 25 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე თბილისის სპორტის სასახლის ყინულოვანი ასპარეზი „ვარშავად“ გადაიქცევა და ჩვენც სიამოვნებით მოვეკონთ იმ ზეთებს, როდესაც ქართველი ხელოვანის მიერ შექმნილ ყინვაფანტაზიას ვეზიარებით.

ნ. საკვარელიძე.

სურათზე: ყინულზეა „ვარშავული ეტიუდები“.

ვარშავული ეტიუდები

დასი, რომელიც ამ დღეებში ეწვევა ჩვენს დედაქალაქს და თბილისის სპორტის სასახლის ყინულოვან მოედანზე გამართავს რეიეუს, სრულიად ახალგაზრდაა — ექვსი წლისა. და რაც ჩვეხთვის განსაკუთრებით საინტერესოა, მისი შემქმნელი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ქართველი კაცი — კონსტანტინე ციცეშვილი გახლავთ.

კ. ციცეშვილი თბილისელია, აქ დაიბადა და სწავლობდა ჯერ თეატრალურ ინსტიტუტში, მერე სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბოლო ხანებში იგი ვარშავის მკვიდრი გახდა და ათ წელზე მეტი იმუშავა პოლონეთის ტელევიზიაში, სადაც დადგა 120 ტელესპექტაკლი (აქედან ორი თავისივე პიესის მიხედვით) და ოთხი სატელევიზიო მხატვრული ფილმი.

— თემა ამ ფილმებისა? — ვეკითხებით.

— თანამედროვეობა, მაგრამ მეოთხე გამონაკლისია — იგი ლერმონტოვის შესახებ არის.

ტელესტუდიაში მუშაობის დროს კ. ციცეშვილს არაერთი საესტრადო-სატირული პროგრამა მოუმზადებია. იგი თავად არის ხოლმე რეჟისორიც და ლიბრეტისტ-სცენარისტიც. ასევე მოხდა რეკვიუს დაარსებისას. მოსამზადებელი ერთი წელიწადი მისთვის ძალზე საინტერესოც იყო და ძალზე რთულიც — საკუთარ თავს უნდა „შედავებოდა“ სცენარისა თუ რეჟისურის უზუსტობაში, მაგრამ, საბედნიეროდ, დღიდან პრემიერისა, რომელიც 1975 წლის 19 იკლისს გაიმართა, „ვარშავიულ ეტიუდებს“ წარმატება დაეტყდა და ვარშაველებისათვის მალე უცხო ხილად იქცა — დასი საზღვარგარეთულ ტურნეს შეუდგა და მშობლიურ დედაქალაქში ახლა სტუმრადღა თუა. მალაიზია, ინდონეზია, სინგაპური, ტაილანდი...

— საბჭოთა კავშირში პირველად ბრძანდებით?

— არა, მეორედ ჩამოვედით. ზარშანდელ გასტროლებზე ვესტუმრეთ ზაპოროჟიეს, დონეცკს, ხარკოვს, როსტოვს, კიევს, ვილნიუსს, რიგასა და მოსკოვს. ამჯერად საგასტროლო რუკა ასეთია: ტოლიატი, ოქეესკი, ვოლგოგრადი, ტაშკენტი, თბილისი, სვერდლოვსკი, რიგა, ლენინგრადი, მოსკოვი, ოდესა. ასე რომ, მარტის ბოლომდე საბჭოთა კავშირის სტუმრები ვართ, — თქვა კოტე ციცეშვილმა, — ხოლო გაზაფხულზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ბელგიას, ჰოლანდიას და კვლავ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას ვეწვევით.

— ჩანს, დიდ დაინტერესებას იჩენენ უინულოვანი ასპარეზისადმი ქვეყნები, სადაც ყინვა არ იცის.

— ძალიან დიდ დაინტერესებას, რასაც დიდი შემოსავალიც მოსდევს.

— არსებითი ნიშან-თვისება თქვენი ჩანაფიქრისა?

— ეს გაკლავთ, ძირითადად, რეიეუ. ზღაპარივით ლამაზი, სანახაობითი ხასიათის სურათების ნახვით უნდა დაისვენოს, ისიამოვნოს, თვალი გაახაროს მაყურებელმა.

— მხოლოდ და მხოლოდ მოზრდილმა მაყურებელმა თუ მოზარდმაც?

— „ვარშავიული ეტიუდები“ იმდაგვარად აკეთე, რომ იგი დიდებისთვისაც საინტერესო გამოდგა და პატარებისთვისაც. ჩვენი უმთავრესი ამოცანა ანსამბლურობაა, თუმცა „ვარსკვლავებიც“ გვყავს.

— დასი დიდია?

— 80 წევრია დასში. უმრავლესობა გოგონებია. ძალზე დიდი რეკვიზიტი გვაქვს და აქედან მარტო 800 კოსტუმია!

„ვარშავიის ეტიუდები“ და „კოქტეილი“ — ასე დავასათაურეთ ეს ორნაწილიანი წარმოდგენა და, ვიცი რა თანამემამულეთა გემოვნება, ყველას ეპატიჟები. მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა ჩემი შემოქმედება გავაცნო საამბოლოს, — ამბობს დასასრულ კოტე ციცეშვილი და გემშვიდობება — იგი დასავლეთ ბერლინში მიემგზავრება და ჩქარობს.

მაშ ასე, 25 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე თბილისის სპორტის სასახლის ყინულოვანი ასპარეზი „ვარშავად“ გადაიქცევა და ჩვენც სიამოვნებით მოვეკონთ იმ ზეთებს, როდესაც ქართველი ხელოვანის მიერ შექმნილ ყინვაფანტაზიას ვეზიარებით.

ნ. საკვარელიძე.

სურათზე: ყინულზეა „ვარშავული ეტიუდები“.

არაბულის ახლადინილი ოცნება

ვერხვილი ერთ-ერთი მაღალი მთის სოფელია თიანეთის რაიონში. აქაური მოსახლეები არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩამოვიდნენ ხევსურეთის მთებიდან, მაგრამ ეერხველი თანამედროვე ცხოვრების სიკეთეს უკვე საკმაოდ ეზიარა, მის მკვიდრთა შვილები და შვილიშვილები სწავლასა და შრომაში არიან ჩაბმულნი, ქვეყნის სასიკეთო საქმეზე ზრუნავენ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად შეიცვალა ცხოვრების პირობები, ძველ ყოფასთან შედარებით, აქაური მკვიდრის თათუა არაბულის ოჯახის მაგალითიც ქმარა.

თვით ოჯახის უფროსს სკოლაში არ უვლია, მის სიყმაწვილეში მთა-ხევსურეთში არც სკოლა იყო და არც სხვა რამ სახსარი ადგილზე სწავლა-განათლების მისაღებად; ცოდნას მოწყურებული თვით მიეკვლევდნენ გზას, წერა-კითხვას სწავლობდნენ და შემდეგ თვითგანვითარებთა და ცხოვრებისეული გამოცდილებით კაცურ სიმწიფეს აღწევდნენ.

თათუაც ერთ-ერთი მათგანი იყო. იგი პირველ კოლმეურნეობა შორის აქტიურად მონაწილეობდა სოფლის შენებასა და წინსვლაში, გახდა კომუნისტი და დღესაც, 73 წლისა, გაზზე როდი უდგას საზოგადო საქმეს.

ახლახან მოსკოვიდან მოსულმა ბარათებმა თ. არაბულის ოჯახს დიდი სიხარული მოუტანა. ჯერ იყო, და, მოხუც ხევსურს შვილიშვილის შეძენა აცნობეს, შემდეგ კი ვაჟიშვილ ბესიკის მიერ დიპლომის დაცვა და უმაღლესი საინჟინრო განათლების მიღება. ბესიკი წლების მანძილზე ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქში ცხოვრობს და შრომობს, ოჯახიც იქვე შექმნა, წარმოებას მოუწყვეტლივ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ამავე ოჯახის ქალიშვილი კი შრომითს საქმიანობასთან ერთად დაუსწრებლად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ბედნიერი და ქმაყოფილია თათუა არაბული, იგი დღევანდელობაში თავის ახლადინილ ოცნებას ხედავს.

გ. ხახიაური,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ჩვენი სტუმრები

ნორჩი მხატვრის სამუარო

ბელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა ნორჩი მხატვრის, თბილისის ორმოცდამეცამეტე საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლის მახეილ ახრახაძის პერსონალური გამოფენა.

ექსპოზიციაზე ასზე მეტი ნახატია წარმოდგენილი, რომლებშიც იგრძნობა ნორჩი მხატვრის თავისებური ჭვრეტა, იქნება ეს პეიზაჟი, ეტიუდი თუ ნატურმორტი.

რა არ დაუხატია, მაგრამ მთავარი თემა მ. ახრახაძისათვის მაინც პორტრეტია. გამოფენაზე შეხვდებით შექსპირის, სერვანტესის, ფიროსმანის, გიორგი მახარაშვილის, დონ კიხოტის, რიჩარდ მეხამის, ბევრი სხვა ისტორიული პიროვნებისა თუ ლიტერატურული გმირის პორტრეტებს.

მას შეუძლია პერსონაჟის განწყობილების გადმოცემა, მისი შინაგანი, ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვა.

გამოფენა გვაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ მ. ახრახაძეს საინტერესო მომავალი ექნება. სწორედ ამაზე ილაპარაკეს გამოფენის გახსნისას საქართველოს მხატვართა კავშირის გაშეგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯანბერიძემ, მხატვართა კავშირის მდივანმა დ. თაყაიშვილმა, რომლებმაც გზა დაუღოცეს ნორჩ მხატვარს.

ა. გველესიანი.

სურათზე: ნორჩი მხატვრის ნაწარმოები „ჭარხლაცის მამა“.

კეთილმეზობლობის დღესასწაული

ინჟინერმა ნ. ჯიქიამ უარი განაცხადა ვაკეში დიდ სამთთახიან ბინაზე და დიღმის მასივში თავის ძველ, ბლოკებით აგებულ სახლში დარჩა. მიზეზი, რის გამოც მან ეს, ერთი შეხედვით, უაზრო საქციელი ჩაიდინა, არიან მეზობლები, ადამიანები, რომლებიც მასთან და მის ოჯახთან ერთად აგერ უკვე თვრამეტი წელიწადია ჭირსა და ლხინს იზიარებენ. მს არ შეუძლია მათი მატოვება. იგი ვერ ელევა ადგილს, სადაც გაიხარეს და ტანი აიყარეს მის მიერ ახალსახლობის დროს ჩაყრილმა ნერგებმა. იგი ვერ ელევა ვაზს, რომელსაც რუდუნებით უვლის მთელი სახლი.

ასეთი დიდი სამოკბინიანი ოჯახური ალბომი მხოლოდ ერთია — თბილისის დიღმის მასივის მე-6 კვარტალის № 16 კორპუსში. მასში აკრავენ ამ სახლის მცხოვრებთა ფოტოსურათებს, ყოველ თერმეტ ოქტომბერს რომ იღებენ. ამ დღეს კორპუსის მობინადრენი — 124 კაცი — აღნიშნავენ „კეთილმეზობლობის დღესასწაულს“. 1962 წლის 12 ოქტომბერს ისინი ამ სახლში შესახლდნენ, და რაღაც დიდი, კარგი აზრია ჩაქსოვილი იმაში, რომ იგი დაემთხვა სახლის უხუცესი მცხოვრების თამარ ჯანდიერის დაბადების დღეს.

თვრამეტი წლის წინათ აქ არსად ჩანდა ბუჩქი ან ხე. ეზოს კეთილმოწყობაზე ყველამ ერთად იზრუნა, ერთად მოაწყვეს და ვაზის ნორჩი ყლორტებით დაბურეს ფანჩატური... დღეს, როგორც კეთილმეზობლობის თავისებურმა სიმბოლომ, მისმა ქარვისფერმა მტევნებმა დაამშვენეს სადღესასწაულო სუფრა,

ამ კორპუსის ერთი მოსახლე ციმბირში აშენებდა ნია-გრუზინსკაიას სადგურს, მეორე იცავდა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის სპორტულ ღირსებას, მესამე, მოცეკვავე — ამკაბად გასტროლებზეა მეერთებულ შტატებში, მეოთხე—პასუხსაგებ სამეცნიერო მივლინებაშია... ჩვეულებრივი თბილისური სახლია. მკითხველო, ეს ხომ ჩვენი და თქვენი ცხოვრების, ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრების პატარა მოდელია. მაგიდას უსხედან თვალსაჩინო ხელოვნებათმცოდნე და არქეოლოგი და არანაკლებ ცნობილი გამომგონელი, ახალგაზრდა ფიზიკოსთა წყვილი და მათი თანატოლი ექიმი-ნეეროპათოლოგი, ზოფერი და ჟურნალისტი, პარტიული მუშაკი და კალატოზი... მოხუცი და ხანდაზმული, ახალგაზრდა და ყმაწვილი... ეს ერთი დიდი ოჯახია. ყოველთვის, როდესაც ერთად იკრიბებიან ხოლმე, მეზობლები კეთილი სუფრაზეთ იხსენიებენ გარდაცვლილთ და აჯამებენ წელიწადში მიღწეულ წარმატებებს.

...ბრეზენტგადაფარებულ ფანჩატურში გაისმის „მრავალჟამიერი“. ამბობენ, თითქოს თანამედროვე განაშენიანება ხასიათს უცვლის თანამედროვე მოქალაქეს, კარჩაკეტილ არსებად აქცევსო. სწორი არ არის! თბილისის მოქალაქენი ინახავენ ტრადიციებსა და ხასიათს, თითოეული მათგანი ცხოვრობს საერთო ინტერესებით და ამასთან ერთად თავის ინდივიდუალობასაც არ კარგავს.

მ. ხანანაშვილი,
(საინფორმის კორ.).

პოეზიის დღესასწაული

ცხინვალი, 17 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ.). სამხრეთ ოსეთში დამთავრდა პოეზიის ტრადიციული დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება ოსი ხალხის დიდი მამულიშვილის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების დღეს.

ქალაქ ცხინვალის ცენტრში, სადაც აღმართულია პოეტის ძეგლი, გაიმართა მიტინგი — პოეზიის დღესასწაული. აქ ყღერდა კოსტას უკვდავი ლექსები, ავტონომიური ოლქის პოეტთა ახალი ნაწარმოებები სამშობლოზე, პარტიაზე, მეგობრობაზე.

პოეზიის დღესასწაული მოეწყო აგრეთვე პოეტის მშობლიურ სოფელ ნარში, სადაც აგებულია კ. ხეთაგუროვისადმი მიძღვნილი ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსი. ექსპოზიციაშია პოეტის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები და ფოტომასალები.

ირმის ყვირილობა

გუნება — სიცოცხლის ძარი

ოქტომბრის უსიერი ტყე... ბდღვრიალა ბაირაღებივით ფრიალებენ ჰაერში წითელი, ქარვისფერი ფოთლები, თითქოს საშემოდგომო ბაზრობაზე გიშვეგს ტყეფერთა ეს პალიტა ადგილად გიქარვებს ზაფხულის გარდასული მშვენიერებაზე დარდს. მე და ჩემი გამყოლი, ადგილობრივი ეგერი ვალიკო კაპანაძე ლაგოდეხის ნაკრძალში ვართ.

მივყვებით, ვინ იცის, უკვე მერამდენედ გთელილ ბილიკებს, ირგვლივ მოხუცივით ტკბილად თვლემს შემოდგომის სურნელით მთვრალი ბუნება. კანტიკუნტად გაისმის ფრთოსანთა გამოსამშვიდობებელი საგალობელი.

უკვე უკან მოვიტოვეთ ყველაზე მაღალი, ხეთული ალმართი (მას აქაურები „ზამბარას“ უწოდებენ) და ერთბაშად გავიჯაჭეთ.

„უ-უუუუ!..“ — გაისმა ტყეში ყვირილი.

— ვინმეთ? ირემია, — ჩურჩულით მეუბნება ეგერი და თან მანიშნებს, ფრთხილად ვიაროთ, ნადირი არ დავფრთხოთო.

„უ-უუუუ!..“ — ახლა მეორე მხრიდან მისცა ბანი ქორბუდას ქორბუდამ. მეორეს მესამე მოპყვა, მესამეს — მეოთხე. ნადირთა ხმები კუდიგორასა და ქოჩალოს მთებმა აიტაცეს. ეგერი მანიშნებს, ცხენიდან ჩამოდიო. ცხენებს ნეკერჩხლის ვარჯზე ვაბამ და უახლოეს მყვირალა ირმისკენ ფრთხილად მიეუყვებით ნესტიან ბილიკს. ქვემოთ, 20-30 მეტრზე, პატარა ვაკეობა, შუაში ერთადერთი პანტა დგას. ვინღიბენთი..

„უ-უუუუ!.. — თითქოს ყურში ჩაგვყვირა ქორბუდამ, მალე ტოტების მტვრევის ხმა გაისმა და ხარირემიც გამოჩნდა. ნადირი დიდი, აუჩქარებელი ნაბიჯებით გამოვიდა „სცენაზე“. რა სიმსუქეა, ჰარმონიულობაა ჩაქსოვილი ამ უზარმაზარ სხეულში! რა მედიდურობა, საკუთარი ძალისადმი რწმენა ანერეთნა მის ყოველ მიხვრა-მოხვრაში! ამ უზადო, ლაღი და განსაკუთრებული ირის გამო შეაჩქეა სწორედ ადამიანმა ირემს „კეთილშობილი“.

ევროპაში ფართოდ გავრცელებული ირმიდან ცალკე ქვესახეობად გამოყოფენ ამ ირემს, რომელიც მთელ კავკასიაში გვხვდება. კავკასიური ირემი მის ევროპულ მონათესავეზე უფრო ტანადია. ეს ნადირი წინათ ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, მაგრამ ტყეების გაჩეხვამ და მტაცებლურმა ნადირობამ შეამცირა ამ ძვირფასი ჩლიქოსნის რაოდენობა. დღეს ყველაზე დიდი რაოდენობით ირემი მხოლოდ ბორჯომისა და ლაგოდეხის ნაკრძალებში გვხვდება.

... გამძვინვარებული ნადირი, ვინ იცის, უკვე მერამდენედ ეკვეთა პანტის ხეს — წარმოდგენაში თავის მეტოქეს! ტოტები და ფოთლები მოხხეპილივით ცვივა ძირს, ჩლიქების ცემისაგან ატყორცნილი ტყის შავი მიწა შადრევანივით იჭრება ჰაერში.

„უ-უუუუუ!..“ — უხმობს მაჩხუბარა მოწინააღმდეგეს.

ირმის ყვირილობა — ბუნების ეს იშვიათი მოვლენა ნაკრძალში სეტტემბრის შუა რიცხვებში იწყება და ორ თვეს გრძელდება. ჩვეულებრივ ფრთხილი ნადირი ამ დროს თავზეხელაღებულს ემსგავსება, გამძვინვარებული უხმობს თავის მეტოქეს და, თუ გადეყარა, შეუპოვარი, დაუნდობელი ბრძოლა იწყება. ვეებერთელა რქების ჭახაკუნი აზანზარებს იმაყოფობას. ზოგჯერ ერთ-ერთი ვერ ასწრებს დახვედრას და „ტარანზე“ წამოსული მოწინააღმდეგე გვერდებში სცემს დატოტებულ რქებს. ასეთ შემთხვევაში, თუმცა იშვიათად, დაზარალებული იღუპება. უფრო სუსტი, ჩვეულებრივ, საკმაოდ მალე თმობს პოზიციებს და იქაურობას ეცლება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მეტოქენი დატოტვილი რქებით უჩვეულოდ იხლართებიან ერთმანეთში, თავს ვერ ათავისუფლებენ და უკმეხულ�ასე უცნაურად იღუპებიან. ამგვარად დაღუპული მოქიშპე ირმების გადაჭდობილი რქები და თავის ქალები ინახება სწორედ ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის მუზეუმში.

სამშემოდგომო ქორწინების პერიოდში ხარირემი თითქმის არაფერს ჭამს. მხოლოდ მხურვალე გულს იგრილებს წყლით. ამიტომ ირემი შემოდგომით ძალიან სუსტდება. ვამარჯვებული ხარირემი, ბოლოს, და ბოლოს, „იგებს“ ფურირემის გულს და წყვილდება. დამარცხებულები ახლა სხვადან მოსინჯავენ ხოლმე თავიანთ ძალებს. ყველაზე სუსტები — ბებრები და ბაბუები, საერთოდ უფურეობდ რჩებიან.

— რამდენი ირემია ღღეს ნაკრძალში? — ვეკითხები მასპინძელს.

— ხუთასამდე.

— საკვები თუ ჰყოფნით? ხუთასამდე ირმისათვის ნაკრძალის ტყე ხომ არცთუ ბევრია.

— აკი ამიტომაც გავრცელდნენ ისეთ ხეობებში, სადაც წინათ არ ყოფილან. ვერტიკალური მიმართულებითაც საკმაოდ „დაიპყრეს მთა“, სადაც არჩვი, განსაკუთრებით კი შველი შეავიწროვეს. ასე განსაჯეთ, ჯიხვსაც მისწყვდნენ.

— ირმების გამრავლება ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, ახლო მომავალში გამოხშირვაც დასჭირდება.

— გამოხშირვისა რა მოგახსენო, ნაკრძალი დიდია და „აუთვისებელი“ ადგილებიც იმდენია, რომ ირმის უფრო ჭარბ არეებსაც აიტანს.

— კი, მაგრამ, რას შვრება მგელი. ვანა აქ არ „სანიტრობს“ ეს მტაცებელი?

— აბა, ამას მე ვინ მეკითხება. დირექციას მოსვენება არა აქვს კვლევითი ინსტიტუტებისა და მეცნიერებისაგან. ერთნი გვიქადაგებენ, სულ გაწვიტეთ, ამოფლიტეთ, მგლეობთო, სხვები გვიჩივლენ „სანიტრების“ ხელის ხლება არ შეიძლება, პირიქით, უნდა მოამრავლოთო.

შეეცადები პასუხი გაეცე ამ არცთუ ადვილ კითხვას. კაცობრიობის ერთ-ერთ ადგილას, ოდესღაც, ადამიანებს ეგონათ, ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთია ერთგვარად ბალანსირებული, ბალანსი ბუნებრივ ბალანსად ეგონათ. ეს ბალანსი ბუნებრივ ბალანსად ეგონათ ადამიანებს, ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთია ერთგვარად ბალანსირებული,